სსიპ
საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო
ზედამხედველობის
სამსახური

LEPL
INSURANCE STATE
SUPERVISION
SERVICE OF GEORGIA

N 375
04/04/2024

375-7-2-202404041507

სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“

გენერალურ დირექტორს კახაბერ ამაღლობელს

ბატონო კახაბერ,

თქვენი 2024 წლის 01 აპრილის G0646 წერილის პასუხად გაცნობებთ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის და გაკოტრების საქმისწარმოება რეგულირდება საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის გადაწყვეტილება მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის ან/და გაკოტრების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“–ში, აისახება სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე და რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა *რეესტრში, რომელიც, თავის მხრივ, აისახება უშუალოდ ამ იურიდიული პირის ამონაწერში.*

ამასთან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.insurance.gov.ge ხელმისაწვდომია დაზღვევის საქმიანობასთან/სადაზღვევო ორგანიზაციებთან დაკავშირებული სხვა საჯარო ინფორმაცია.

პატივისცემით,

საქართველო, თბილისი, 0162, ლ.მიქელაძის №3; ს/კ : 205 305 025; ტელ:(+995 32) 2 23 44 10; ელ.ფოსტა:info@insurance.gov.ge;
3 L.Mikeladze str. 0162; Tbilisi, Georgia; I/c: 205 305 025; tel: (+995 32) 2 23 44 10; E-mail: info@insurance.gov.ge;
www. insurance.gov.ge

დავით ონოფრიშვილი

სამსახურის უფროსი